განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური**
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**
სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 27 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18 დეკემბერი

თბილისი 2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 220407888 |
| დაწესებულების სახე | |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პირობითი აკრედიტაცია 28.11.2018 #54 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, | დავით ქარცივაძე, სს სადაზღვევო კომპანია |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| ქვეყანა) | „იმედი ლ“, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნუცა წამალაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ანხორციელებს 2008 წლიდან. თავიდან, პროგრამის სახელწოდება იყო „ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“, 2010 წელს მას შეეცვალა სახელწოდება -„ბიზნესის მართვა“, 2011 წელს ისევ შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა „ბიზნესის ადმინისტრირება“. პროგრამამ 2012 წელს გაიარა აკრედიტაცია. 2018 წელს დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამა რეაკრედიტაციის მიზნით წარუდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 28 ნოემბრის #54 გადაწყვეტილებით მას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. ამჟამად პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 აკადემიური და 15 მოწვეული პერსონალი. პრგრამაზე სწავლობს 198 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 77 %-ს. მათ შორის, სპეციალობით კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 67 პროცენტია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად 2020 წლის 27 ნოემბერს. ვიზიტამდე 26 ნოემბერს, შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (გოჩა თუთბერიძე, თეა კასრაძე, დავით ქარცივაძე, ნუცა წამალაიშვილი) ვიდეო-კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა საგანამანათლებლო პროგრმა, თანდართული დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 27 ნოემბერს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

27 ნოემბერს 9:20 საათიდან, Zoom-ის საშუალებით, დაიწყო გასაუბრება პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაცია) თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ინტერვიურების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა:
**პირველი სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 1.1 შესაბამისობაშია, ხოლო 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტი 2.1, 2.5 და 2.6 შესაბამისობაშია სტანდარტებთან, 2.3 და 2.4 მეტწილ შესაბამისობაში და 2.2 კი ნაწილობრივ შესაბამისობაში;
**მესამე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
**მეოთხე სტანდარტი** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან კომპონენტი 4.1 მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო კომპონენტები 4.2, 4.3 და 4.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთე სტანდარტი** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან სტანდარტის 5.1, 5.3 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 5.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

1. მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააქტიუროს დამსაქმებლებთან კონტაქტები და დაგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს მათს დაინტერესებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით, კერძოდ დამსაქმებლების მეტ ჩართულობას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და სწავლის შედეგების შემუშავების, ასევე, შეფასების პროცესში;
2. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები, რომლებზეც საუბარია 2.2 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში;
3. გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
4. გადაიხედოს სასწავლო კურსის „სტატრტაპი“ ძირითადი ლიტერატურა. სამოყვარულო ლიტერატურის ნაცვლად შეირჩეს ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;

5. გაფართოვდეს სტუდენტთა მიერ პროგრამის ფარგლებში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის სფერო/არეალი და შესაბამისად პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა საქმიანობის არეალიც;
6. რეკომენდებულია პროგრამის ხელმძღვანელის და თანახელმძღვნელის მეტი ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობა;

7. მიზანშეწონილია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უფრო აქტიურად იმუშაოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან;
8. დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ბენჩმარკინგის მეთოდი და განახორციელოს საგანამანათლებლო პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - საურველია დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა, რათა ზუსტად დადგინდეს კონკრეტულად რა ცოდნის და უნარების კადრებზეა მოთხოვნა რეგიონში (ფრონტ ოფისი, ბექი, ბუღალტრები, ფინანსისტები, გაყიდვების მენეჯერები, მარკეტოლოგები და ა.შ.);
  - სასურველია დაწესებულებამ შექმნას პირობები და ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას;
  - საურველია პროგრამის მიზნების ფორმულირება გრამატიკულ-სტილისტურად გასწორდეს, რათა ადვილი აღსაქმელი იყოს მისი შინაარსი მკითხველისათვის;
  - სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგარამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მე-3 გამოცდად მათემატიკის ჩაბარება;
  - სასურველია საწარმოო პრაქტიკის გავლა წინ უსწრებდეს საბაკალავრო პროექტს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სტუდენტი პრაქტიკაში მიღებული გამოცდილების შემდეგ უფრო საინტერესო ნაშრომს მოამზადებს;
  - სასურველია „აკადემიური წერის" ინგლისურენოვან სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განესაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;
  - სასურველია გაძლიერდეს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის სწავლება;
  - უსდ-მ უფრო აქტიურად შესთავაზოს სტუდენტებს კარიერული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა შესაძლებლობები მათი ინტერესებიდან გამომდინარე;
  - საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებით ინფორმაციის ოპტიმალურ დროში მიწოდება და სტუდენტების მაქსიმალური ხელშეწყობა, მოტივირება ჩართულობის გაზრდისთვის;
  - რეკომენდებულია თანამშრომლების წახალისებისთვის სისტემური მიდგომის დანერგვა და შიდა საგრანტო კონკუსების შემოღება;
  - დაწესებულებამ ხელი შეუწყოს ერთიანი სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (LMS) დანერგვსა და მის აქტიურ გამოყენებას;

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკრენტუნარიანი ბაკალავრი, რომელიც ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების ფართო ცოდნას. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია, სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან. პროგრამის მიზნებში ასახულია თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ, კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ბიზნესის საქმიანობის და ფუნქციონირების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და ოპერირების უზრუნველყოფა, თეორიული ცოდნის კრიტიკული გააზრება. პროგრამის მიზნებში ყურადღება მახვილდება პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, გაუთვალისწინებელ გარემოში გადაწყვეტილების მიღების უნარზე და ეთიკის პრინციპების დაცვაზე. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მიზნების ფორმულირება საჭიროებს გრამატიკულ-სტილისტურ გამართვას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მეტ-ნაკლებად ნათლად და გასაგებად არის ჩამოყალიბებული. მიზნები რეალისტური და მიღწევადია, რაც დასტურდება საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობით, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით.<br>დაწესებულებამ 2019 წლის სექტემბერში ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევა ჩატარდა სამეგრელოს რეგიონის 4 მუნიციპალიტეტში (ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი, სენაკი) და მოიცვა შემდეგი სექტორები: საბანკო სექტორი, ტურიზმი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საწარმოები. კვლევა მიზნად ისახავდა რეგიონში მოქმედ კომპანიებში ადამიანური რესურსების მდგომარეობის შესწავლას და მიმდინარე ეტაპზე მოქმედი კომპანიების პროფესიებზე მოთხოვნების დადგენას. კვლევის ჩატარებისთვის გამოყენებულ იქნა ონლაინ კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც ღია ასევე დახურული ტიპის შეკითხვებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებლები პრობლემად მიიჩნევენ უცხო ენის ცოდნას და პრაქტიკული უნარების ნაკლებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებლების ეს მოთხოვნები. საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უცხო ენების (ინგლისური, გერმანული, ფარანგული, რუსული) სწავლებას, ასევე გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტები და სასწავლო კურსების უმეტესობაში აქცენტი გაკეთდა პრაქტიკულ უნარებზე. შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი, ძირითადად შეიცავს |

სხვადასხვა ტიპის დიაგრამებს და მასში ნაკლებადაა ანალიტიკა. ამასთან, კვლევის არეალიც საკმაოდ ვიწროა. მაგ. ის არ მოიცავს ისეთ დიდ ქალაქს როგორიცაა ფოთი, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის სხვა მუნიციპალიტეტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კველვა, რათა ზუსტად დადგინდეს კონკრეტულად რა ცოდნის და უნარების კადრებზეა მოთხოვნა რეგიონში (ფრონტ ოფისი, ბექი, ბუღალტრები, ფინანსისტები, გაყიდვების მენეჯერები, მარკეტოლოგები და ა.შ.).
სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი და სტრატეგიული გეგმით ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა. უნივერსიტეტი ჩართულია ერაზმუს + პროექტებში. 2019-2020 წლებში ერთმა სტუდენტმა და ერთმა აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში. თუმცა დაწესებულებას მართებს მეტი ძალისხმევის მიმართვა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციის მიმართულებით. დაწესებულებამ უნდა შექმნას პირობები და ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას და საერთაშორისო კვლევებში ჩართულობას.
საგანამანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- შრომის ბაზრის კვლევა
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საურველია პროგრამის მიზნების ფორმულირება გრამატიკულ-სტილისტურად გასწორდეს, რათა ადვილი აღსაქმელი იყოს მისი შინაარსი მკითხველისათვის;

სასურველია დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სრულფასოვანი კვლევა, რათა ზუსტად დადგინდეს კონკრეტულად რა ცოდნის და უნარების კადრებზეა მოთხოვნა რეგიონში (ფრონტ ოფისი, ბექი, ბუღალტრები, ფინანსისტები, გაყიდვების მენეჯერები, მარკეტოლოგები და ა.შ.);

სასურველია დაწესებულებამ შექმნას პირობები და ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, მოიცავს ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რაც ასევე დასტურდება პროგრამის მიზნებისა და სწავლიშედეგების რუკით, სადაც საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლი კონკრეტულ შედეგებთან. შემუშავებულია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო სგანამანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ამასთან, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამისობაშია კვალიფიკაციის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი მაღალია და შეადგენს 67 პროცენტს. განათლების შემდეგ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებელი 7 პროცენტია. ეს მაჩვენებლები და, ასევე, ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ადასტურებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული მართვის ცენტრი, რომელიც სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ეხმარება დასაქმებასა და კარიერულ წინსვლაში.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუსავებული აქვს საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესში დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის მექანიზმი. კერძოდ, პროგრამის შემუშავების ჯგუფში შესაძლებელია ჩართული იყოს დამსაქმებელი. თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი პროგრამის შემუშავების პროცესში საჭიროებს მეტ კომუნიკაციას დამსაქმებლებთან. ამჟამად, დაწესებულებას გააჩნია მემორანდუმები დამსაქმებელთა ვიწრო წრესთან (6 დამსაქმებელი), ძირითადად ბანკები და მისო-ები. ვინაიდან, რეგიონში ფუნქციონირებენ საკმაო რაოდენობის მცირე და საშუალო ზომის კომპანიები, რომელთაც სჭირდებათ კვალიფიციური პერსონალი, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააქტიუროს მათთან კონტაქტები და დაგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს მათს დაინტერესებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით, რაც გამოიწვევს მათ მეტ ჩართულობას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და სწავლის შედეგების შემუშავების, ასევე, შეფასების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>მიზანშეწონილია დაწესებულებამ გააქტიუროს დამსაქმებლებთან კონტაქტები და დაგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც გამოიწვევს მათს დაინტერესებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამით, კერძოდ დამსაქმებლების მეტ ჩართულობას როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და სწავლის შედეგების შემუშავების, ასევე, შეფასების პროცესში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე, აგრეთვე, შესაძლებელია მობილობით სტუდენტთა მიღება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაზე დასაშვებად უნივერსიტეტი არ ითხოვს აბიტურიენტებისგან მე-3 საგნად მათემატიკის ჩაბარებას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ მე-3 საგნად, განისაზღვროს მათემატიკა.

პროგრამაზე მიღების წინაპირობობების დაინტერესებული საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარი.

| |
|---|
| ინფორმაცია ასევე განთავსებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე. უნივერსიტეტი აქტიურად ახდენს დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებულობას პროგრამის შესახებ - ტარდება ღია კარის დღეები, იბეჭდება სპრციალური ფლაერები, ინფორმაციას აწვდიან ასევე სკოლებსა და რესურსცენტრებს.<br>დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• უსდ-ის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა<br>• უსდ-ის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი<br>• უსდ-ის ვებგვერდით: http://www.zssu.ge/zssu2/<br>• ინტერვიუ უსდ-ს ადმინისტრაციასთან |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგარამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მე-3 გამოცდად მათემატიკის ჩაბარება. |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია პროგრამების დაგეგმვა/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. მასში აღწერილია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისა და შეჩერება/გაუქმების პროცედურები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს 240 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

კრედიტები განაწილებულია შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

- **ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 130 კრედიტი**
  **მათ შორის:**
  **საწარმოო პრაქტიკა** – 10 კრედიტი;
  **საბაკალავრო პროექტი** – 10 კრედიტი;
- **ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები** – 10 კრედიტი;
- **თავისუფალი (სავალდებულო) სასწავლო კურსები** - 40 კრედიტი;
- **თავისუფალი (არჩევითი ) სასწავლო კურსები - 60 კრედიტი**

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, კომპლექსურობა და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს თანმიმდევრული გადასვლის პრინციპს მარტივიდან რთულისკენ, საფუძვლებიდან ზოგად კურსებზე და მაპროფილებელ სასწავლო კურსებზე, შინაარსობრივი თანმიმდევრობის გათვალისწინებით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევებში პროგრამის შემადგენელი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკური წინაპირობით არ არის განლაგებული სემესტრების მიხედვით და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობებიც არაადეკვატურია.

კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, პროგრამას აკლია რამოდენიმე ძირითადი სფეროს სავალდებულო საგანი. ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსის შეთავაზება უნდა ხდებოდეს სავალდებულო კურსების კომპონენტში, ზოგიერთი სავალდებულო კურსის კი პირიქით. ზოგიერთ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები კი საჭიროებს

გადახედვას. კერძოდ:

-სასწავლო კურსს „სტატისტიკა ბიზნესისათვის“ დაშვების წინაპირობად ნაცვლად „მათემატიკა ბიზნესისათვის“ უნდა ჰქონდეს „ალბათობის თეორია“, რომელსაც თავის მხრივ სწორად აქვს წინაპირობად განსაზღვრული „მათემატიკა ბიზნესისათვის“;

-„ფინანსურ აღრიცხვას“ დაშვების წინაპირობად „კორპორაციული ფინანსების“ ნაცვლად უნდა ჰქონდეს „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“

-„კორპორაციული ფინანსების“ დაშვების წინაპირობად „მაკროეკონომიკის პრინციპების“ ნაცვლად უნდა განისაზღვროს „ფინანსური აღრიცხვა“ და ალბათობის თეორია;

- „გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა“-ს არ ჭირდება წინაპირობად „კორპორაციული ფინანსები“. ამ საგანზე დაშვების წინაპირობად ფინანსური აღრიცხვა საკმარისია;

-პირველ სემესტრში სტუდენტებისათვის აკადემიური წერის ქართული კურსის პარალელურად ხდება ამავე კურსის ინგლისურ ენაზე შეთავაზება. საგანს არ აქვს დაშვების წინაპირობები, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია გაიაროს ეს კურსი, თუმცა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის გარეშე ეს შეუძლებელია. სილაბუსის ავტორის განმარტებთ ინგლისურენოვანი კურსი ძირითადად მობილობის პროგრამის ფარგლებში უსდ-ში მყოფ უცხოელ სტუდენტებზეა გათვლილი, რომლებმაც იციან ინგლისური ენა B2 დონეზე. სასურველია ასვე უსდ-ში გაძლიერდეს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის სწავლება.

-ეკონომიკური და ფინანსური რისკების მენეჯმენტს“ დაშვების წინაპირობად არ სჭირდება „მენეჯმენტის საფუძვლები“. ერთის მხრივ სილაბუსის თანახმად კურსის ფარგლებში ისწავლება ისეთი საკითხები, როგორებიცაა პორტფელის რისკების მართვა, საბანკო რისკების მართვა და სხვ და, მეორეს მხრივ კი სტუდენტებს არ ასწავლიან არც „საბანკო საქმეს“ ან „საბანკო მენეჯმენტს“ და არც ფასიან ქაღალდებს და ფასიანი ქაღალდების ბაზარს. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით აღნიშნული საგნების შეთავაზება ხდება თავისუფალი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში. ვიზიტის დროს უსდ-მ წარმოადგინა თავისუფალი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში შესათავაზებელი საგნების ნუსხა და სილაბუსები, სადაც მართლაც გვხვდება აღნიშნული საგნები, თუმცა, ვინაიდან „ეკონომიკური და ფინანსური რისკების მენეჯმენტი“ სავალდებულო საგანია, ეს საგნებიც უნდა ისწავლებოდეს სავალდებულო წესით და სწორედ ისინი უნდა განისაზღვროს კურსზე დაშვების წინაპირობად.

-გარდა ზემოთ აღნიშნული საგნებისა მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში სავალდებულო წესით ისწავლებოდეს გაყიდვების მართვასთან და ციფრულ მარკეტინგთან დაკავშირებული საგნები. ამ უკანასკნელის შეთავაზება თავისუფალი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში ხდება „ინტერნეტ-მარკეტინგის“ სახით. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აღნიშნული საგნების სავალდებულო წესით სწავლება მარტივად შეიძლება მოხერხდეს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კურსების კრედიტების გადახედვის ხარჯზე. გარდა ამისა პროგრამაში არის ისეთი საგნები, რომლებიც შეიძლება სავალდებულოდან არჩევითში იქნას გადატანილი.

-სასურველია საწარმოო პრაქტიკის გავლა წინ უსწრებდეს საბაკალავრო პროექტს ანუ მე-8 სემესტრის ნაცვლად მე-7 სემესტრში გაიარონ სტუდენტება პრაქტიკა. ექსპერტთა

| |
|---|
| ჯგუფის მოსაზრებით, სტუდენტი პრაქტიკაში მიღებული გამოცდილების შემდეგ უფრო საინტერესო ნაშრომს მოამზადებს. უსდ-ს წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ეს მოსაზრება მათაც ჰქონდათ, მაგრამ მსჯელობის შედეგად საბოლოოდ შემოთავაზებულ ვერსიაზე შეჩერდნენ.<br><br>პროგრამაში თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტს 60 კრედიტი აქვს დათმობილი, რომლის ფარგლებშიც უსდ სთავაზობს სტუდენტებს საგნების საკმაოდ ფართო ჩამონათვალს უსდ-ში მოქმედი სხვადასხვა პროგრამებიდან, რაც თავისთავად კარგია. თუმცა პრობლებას ვხედავთ 60 კრედიტის სემესტრების მიხედვით განაწილებაში. კერძოდ პროგრამის მიხედვით თავისუფალ არჩევით კურსებზე კრედიტები სემესტრების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: მე-2 სემესტრში - 6 კრედიტი, მე-3 სემესტრში - 3 კრ; მე-4 სემესტრში - 4კრ; მე-5 სემესტრში - 7 კრ; მე-6 სემესტრში - 12 კრ; მე-7 სემესტრში - 22 კრ და ბოლოს მე-8 სემესტრში - 6 კრ. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თავისუფალ-არჩევით სასწავლო კომპონენტში კრედიტების ამგვარი გადანაწილების პირობებში სტუდენტს გაუჭირდება ისე ააწყოს თავისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომ 240 კრედიტით დაასრულოს პროგრამა. თავისუფალი არჩევითი სასწავლო საგნების ნუსხაში ძირითადად 5 კრედიტიანი და 4 კრედიტიანი საგნებია. მცირე რაოდენობით გვხვდება 3 კრედიტიანი და 2 კრედიტიანი საგნები, ძირითადად მედიცინის და ფარმაციის პროგრამიდან. გამოდის, რომ მაგ. მე-5 სემესტრში სტუდენტმა 7 კრედიტი რომ მოაგროვოს იძულებული იქნება აირჩიოს 2 ან 3 კრედიტიანი საგანი ფარმაციის პროგრამიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მას 7 კრედიტზე მეტის აღება მოუწევს. პროგრამის და ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელების განმარტებით ასეთ შემთხვევაში, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ ზედმეტი კრედიტების უფასოდ მიწოდებას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ამით ირღვევა სტუდენტის კანონიერი უფლება, რომელსაც ანიჭებს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ და რომელიც სტუდენტს აძლევს საშუალებას ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი მოიპოვოს 240 კრედიტით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;<br>• საბაკალავრო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა, შეფასებისა და განვითარების წესი.<br>• ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;<br>• ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან;<br>• ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მისაღწევად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურაში (სავალდებულო და აჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტებში) განხორციელდეს ცვლილებები, რომლებზეც საუბარია 2.2 სტანდარტის |

| |
|---|
| მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვისა და ანალიზის ნაწილში;<br>• გადაიხედოს და მეტი სიზუსტით შეირჩეს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• სასურველია საწარმოო პრაქტიკის გავლა წინ უსწრებდეს საბაკალავრო პროექტს. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სტუდენტი პრაქტიკაში მიღებული გამოცდილების შემდეგ უფრო საინტერესო ნაშრომს მოამზადებს.<br>• სასურველია „აკადემიური წერის“ ინგლისურენოვან სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განესაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;<br>• სასურველია გაძლიერდეს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის სწავლება |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი/სავალდებულო სასწავლო კურსები ძირითადად 5 კრედიტიანია, თუმცა გარკვეული სასწეავლო კურსები არის 4 კრედიტიანი და 6 კრედიტიანიც. სასწავლო პრაქტიკა მოიცავს 10 კრედიტს, საბაკალავრო პროექტიც მოიცავს 10 კრედიტს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა (გარდა უცხო ენის სასწავლო კომპონენტისა) სტანდარტიზებულია და მოიცავს 49 საკონტაქტო საათს როგორც 5, ასევე 4 და 6 კრედიტიანი სასწავლო კურსების შემთხვევაში და განსხვავება არის ძირითადად დამოუკიდებელ მუშაობის საათებში. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ძირითადად, ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსს. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსებში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხამრე მასალები ძირითადად დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა გვხვდება მცირედი გამონაკლისები. მაგ. სასწავლო კურსის „სტარტაპი“ ძირითადი ლიტერატურა - ე.რისი, ,,წარმატებული სტარტაპი“, გამომცემლობა პალიტრა L, უფრო სამოყვარულოა და ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების წესი, საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება პროგრამის შედეგების შეფასების პერიოდულობა, შეფასების მეთოდები, სამიზნე ნიშნულები და ვადები. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები საუკეთესო სტუდენტებისათვის (91-100 ქულა) განისაზღვრება არაუმეტეს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10%-ისა და დაბალი აკადემიური მოსწრების (51-60 ქულა) სტუდენტებისათვის არაუმეტეს 10%-ისა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავების წესი;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;<br>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა;<br>○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან; |

**რეკომენდაციები:**

- გადაიხედოს სასწავლო კურსის „სტატრტაპი“ ძირითადი ლიტერატურა. სამოყვარულო ლიტერატურის ნაცვლად შეირჩეს ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამა ითვალისწინებს და უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას სხვადასხვა კვლევით კომპონენტებში. კერძოდ, მიმდინარე აქტივობები ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით (ქეისები, სიტუაციური ამოცანა, ესე, ქვიზი, საშინაო დავალების პრეზენტაცია, გამოკითხვა, როლური თამაში). ისწავლება კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები.

სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი არიან შიდა საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში დაფინანსებულ კვლევით პროექტში.

სტუდენტებს ასევე საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში, სტუდენტთა დასაქმების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

გარდა ამისა, საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკას, რომელიც ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. საგანმანათლებლო დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები. ესენი არიან ძირითადად საბანკო დაწესებულებები და აუდიტორული კომპანიები, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პრაქტიკის სფერო დავიწროვებულია და სტუდენტს პრაქტიკულად არ აქვს საშუალება აირჩიოს საწარმოო პრაქტიკა საფინანსო სფეროში (ბანკი, აუდიტორული კომპანია) გაიაროს თუ ნებისმიერი სხვა პროფილის კომპანიაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია საბაკალავრო პროექტის მომზადება და დაცვა. სტუდენტები ირჩევენ საკვლევ თემას, ადგენენ სამუშაო გეგმას, ახორციელებენ ინფორმაციის მოძიებას და სათანადოდ დამუშავებას, დასკვნების ჩამოყალიბებას და საჯაროდ დაცვას.

პროგრამში ახლად შემოდის საბაკალავრო პროექტი, შესაბამისად ვიზიტის დროს დაცული პროექტები ვერ იქნა ნანახი ექსპერტების მიერ.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით, საბაკალავრო პროექტზე მუშაობა სტუდენტს განუვითარებს დამოუკიდებელი საპროექტო/კვლევითი სამუშაოს წარმართვის საწყის უნარებს და მოამზადებს მას, რომ უფრო მარტივად შეძლოს აკადემიური განათლების მე-2 საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საწარმოო პრაქტიკის და საბაკალავრო პროექტის სილაბუსები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან;
- ინტერევიუ სტუდენტებთან;
